# ხალხის მობილიზება

PILLARS-ის სახელმძღვანელო

*ისაბელ კარტერი*



Partnership In Local LAnguage ResourceS

ხალხის მობილიზება

PILLARS-ის სახელმძღვანელო

იზაბელ კარტერი

ილუსტრაცია: როდ მილი

დიზაინი: უინფინგერი

# ხალხის მობილიზება

## PILLARS-ის სახელმძღვანელო

### PILLARS-ის სახელმძღვანელოს შესავალი

ეს სახელმძღვანელოები შემქნილია პატარა ჯგუფებში გამოსაყენბლად, სადაც ერთი ან მეტი ადამიანი წერა-კითხვის მცოდნეა და საკმარისი ნდობით არის აღჭურვილი იმისათვის, რომ წარუძღვეს სხვებს ჯგუფურ დისკუსიაში. მათი მიზანია მიაწოდონ მასალა დისკუსიისათვის თემის ირგვლივ როგორ ცალკე, ასევე რეგულარული ჯგუფური შეხვედრის დროს; მაგალითად ფერმერებზე, წერა-კითხვის შემსწავლელებზე ან დედათა კავშირის წევრებზე. იდეალში, მხოლოდ ორი ან სამი გვერდი უნდა იქნას გამოყენებული ყოველ ჯერზე, რაც დისკუსიისათვის წამოწეულ საკითხებზე და ზოგიერთი მოაზრებული იდეის განსახორციელებელად საკაო დროს დატოვებს. დისკუსიის წინამძღოლისთვის არანაირი მომზადების გავლა დასაწყისში სავალდებულო არ არის.

PILLARS-ის სახელმძღვანელოს მიზანია ჯგუფის წევრებს შორის ნდობის გაზრდა, რათა მათ წარმატებით შეძლონ მართონ ცვლილებები მათ შიდა სიტუაციაში გარე დახმარების გარეშე. ისინი ცდილობენ აშენებას არსებულ ცოდნაზე და წევრებს შორის გამოცდილებაზე ან მათ ირგვლივ საზოგადოებაში, ისე რომ განსხვავებული ისეები იქნას გამოცდილი, ადაპტირებული და შემდეგ ან უკუგდებული გამოუდეგად მიჩნევის შემთხვევაში ან მიღებული, თუ სასარგებლოდ იქნება მიჩნეული.

### ხალხის მობილიზება

სახელმძღვანელო განიხილავს ხალხის მობილიზაციის ბრწყინვალე მაგალითს , რომელიც დაფუძნებულია გარე დამხმარეების და სემინარების გამოყენებაზე. თუმცა, გარე დამხმარეები და სახსრები სემინარების ჩასატარებლად შიძლება ყოველთვის არ იყოს ხელმისაწვდომი. PILLARS-ის ეს სახელმძღვანელო მობილიზაციის პროცესიის ბაზისს აღწერს ისეთი გზით, რომელიც დაეხმარება კარგად-ორგანიზებულ და მოტივირებულ ჯგუფს პროცესის გამოყენებაში გარე დახმარების გარეშე. სასარგებლო იქნებოდა თუ ეკლესიები გააძლიერებდნენ თავიანთ თემების მხარდაჭერას ან ნებისმიერი პატარა ჯგუფი ან არასამთავრობო ორგანიზაცია რომ ცდილობდეს ისეთი ცვლილებების მოტანას, რომლებიც ხალხს სარგებელს მოუტანდა.

მობილიზაციის ეს მაგალითი განხორციელებეული იქნა რუაჰას ეპარქიაში, ტანზანიაში და ნაროკის და ტრანსმარას ეპარქიებში, კენიაში ანგლიკანურ ეკლესიაში; მარას და უკერევეს ეპარქიებში ტანზანიაში აფრიკის შიდა ეკლესიაში და სოროტის რაიონში უგანდაში ორმოცდაათიანულ საღვთო ასამბლეაში. უამრავი მადლობა ეკუთვნის კიტემბერეს, რაგატას, კაბასას და უტეგის სოფლების ლიდერებს ტანზანიაში და ულკელის, ნკარეტას, ოლენდეემის, კოტოლიანის და ოლოკუსეროის სოფლების ლიდერებს კენიაში. მადლობა ასევე ისააკ მასესას, მერი მასელეს და ეპისკოპოსს კიტულას უკერევეს ეპარქიიდან, და ფანუელ მუნგ'ონგ'ო-ს, ქრისტინ კილიპამვამბუს და ეპისკოპოსს მტეტემელას რუაჰას ეპარქიაში. განსაკუთრებული მადლობა ფრენსის ნჯოროგეს მისი ცოდნის და გამოცდილების გაზიარებისთვის, რაც სხვებს მოსმენის და სარგებლის მიღების

საშუალებას აძლევს.

ეკლესიის ჯგუფებისთვის სახელმძღვანელოს ბიბლიის გაკვეთილები ბოლოში გამოყენებული უნდა იქნას როგორც პროცესიის არსებითად მნიშვნელოვანი და მიმდინარე ნაწილი. მათი გამოყენება ყვალაზე უკეთესია პატარა ჯგუფებში, სადაც ყველას აქვს დრო დისკუსიისთვის.

რეკომდირებულია, რომ ყველა სავარჯიშო ამ სახელმძღვანელოში ჯერ განსჯილი იქნას და საგულდაგულოდ გამოცდილი ჯგუფის წერვრებთან და მოტივატაციის ფაქტორებთან სანამ ისინი უფრო ფართო საზოგადოებაში იქნება გამოყენებული.

შესაძლებლობა ყოველი პიროვნებისთვის იმსჯელოს, გაუზიაროს ინფორმაცია და გამბედაობის ასაშენებლად – გააზრებას მოყოლებული ქმედებით – არსებითად მნიშვნელოვანია და წახალისებული უნდა იქნას პროცესის განმავლობაში.

## სახელმძღვანელლოს მიზნები

■ ეკლესიის და საზოგადოების ლიდერების დახმარება გაიგონ თავიანთი უნარი წაახალისონ დადებითი ცვლილება მათს ადგილობრივ ტერიტორიაზე.

■ ადგილობრივი ხალხის დახმარება გაიაზრონ საკუთარი უნიკალური მდგომარეობა.

■ ადგილობრივ ხალხში და ლიდერებში საზოგადოების ორგანიზების ცნობიერების ამაღლება დადებითი ნაბიჯის გადასადგმელად.

■ ადგილობრივი ხალხის გამხნევება გაბედულების მისაღებად საკუთარი უნარებში, რათა იშრომონ ცვლილებების მოსატანად.

## მოსალეოდნელი შედეგები

■ ლიდერებმა გაზარდეს სიცხადე თავიანთი უნარისა საზოგადოებაში ცვლილებების მოსატანად და ხალხის ორგანიზების ფასეულობა დადებითი ქმედებისათვის.

■ ხალხმა გაზარდა ცოდნა და გაგება საკუთარი მდგომარეობისა.

■ ხალხი უფრო მეტად არის თავდაჯერებული საკუთარ ქმედებებში შესაბამისი ცვლილებების მოსატანად.

■ ეფექტური და მიმდინარე საზოგადოების ორგანიზება და ქმედება.

■ გაუმჯობესებული პირობები განათლებაში, ჯანმრთელობა, წყალი ან სანიტარია, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ საზოგადოებაზე.

■ უკეთ-განსწავლული და დაჯერებული ხალხი, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი ტავის დასახმარებლად ზხომების მიღება.

■ ეფექტურად ერთად მომუშავე ორგანიზაციები ყველა დონეზე.

# რესურსები

- *`ხალხში აზროვნების აღძრა“*, ტიერფანდი
- *„სწავლება გარდაქმნისთვის“* წიგნები 1-4
- *„ნაკვალევი“* გამოშვება 50
- *„ადგილობრივი ჯგუფების უნარის გაზრდა“* – PILLARS-ის სახელმძღვანელო

# სარჩევი


| | გვერდი | |
|---|---|---|
| ცვლილებების მოლოდინში | 4 | A1 |
| შეუძლია ჩვენს ხალხს ცვლილებების მოტანა? | 6 | A2 |
| ლიდერებთან მუშაობა | 8 | A3 |
| ცეცხლის მოკიდება | 10 | A4 |
| ხალხის მოტივატორების შერჩევა | 12 | A5 |
| მოტივატორების განსწავლა | 14 | A6 |
| ადგილობრივი რესურსების შეფასება | 16 | A7 |
| მდინარის გადალახვა | 18 | A8 |
| საერთო ენის პოვნა | 20 | A9 |
| საიდუმლო ყუთში! | 22 | A10 |
| ადგილობრივი ტერიტორიის რუკაზე აღნიშვნა | 24 | A11 |
| საზოგადოების ვადები | 26 | A12 |
| სეზონური კალენდარი | 28 | A13 |
| როლების და სიმღერების გამოყენება | 30 | A14 |
| ოცნება | 32 | A15 |
| ინფორმაციის მოგროვება | 34 | A16 |
| კითხვარის მომზადება | 36 | A17 |
| საინფორმაციო დიაგრამების მომზადება | 38 | A18 |
| საზოგადოების ინფორმაციის წარდგენა | 40 | A19 |
| დაგეგმარება | 42 | A20 |
| უწყვეტი მხარდაჭერა | 44 | A21 |
| მომავალი გეგმები | 46 | A22 |
| ბიბლიური გაკვეთილები | 48 | |
| ლექსიკონი | 52 | |

# ცვლილებების მოლოდინში

- ხალხი ხშირად ფიქრობს „განვითარებაზე" როგორც ისეთ რამეზე, რომელიც გარედან მოდის. თუ ცხოვრება ძნელია მცირე პირობებია ჯანმრთელობისთვის, განათლებისთვის ან ეკონომიური განვითარებისთვის, ხალხს შეიძლება მცირე იმედები ჰქონდეთ მომავლისათვის. ისინი შეიძლება გარეშე მყოფებს ელოდებოდნენ, რომ მოვიდნენ და იმოქმედონ. ეს გარეშეები შეიძლება იყვნენ ხელისუფლების ოფიციალური პირები ან არასამთავრობო ორგანიზაციები. ხალხი შეიძლება მოელოდეს მათგან ისეთი რამეების გაუმჯობესებას როგორებიცაა წყლის მომარაგება, სკოლები, წერა-კითხვის დონე ან ჯანმრთელობის კლინიკები.
- ამასობაში, ადგილობრივი ხალხი ჩვეულებისამებრ ფიქრბს, რომ მცირედი რამ არის გასაკეთებელი მათ დასახმარებლად. ნაცვლად ამისა, ინდივიდები უფრო მეტად ზრუნავენ თავიან სახლეულობაზე ვიდრე მოაგვარონ საკითხები თავიანთ საზოგადოებაში.



# ДИСКУСІЯ A1

- რამდენად სურს ხალხს ჩვენს საზოგადოებაში თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება?

- რატომ ველოდებით, რომ გარედან მოვა ხალხი განვითარების მოსატანად ჩვენს მხარეში?

- რამდენი დრო დასჭირდება ხელისუფლების პირებს, ეკლესიას ან არასამთავრობო ორგანიზაციებს დაგვეხმარონ იმ სფეროების გაუმჯობესებაში, რომელტაც არ გააჩნიათ ძირითადი პირობები?

- იმსჯელეთ ტანზანიის ყოფილი პრეზიდენტის, ჯულიუს ნიერერეს ციტატაზე; „ხალხს ვერ განავითარებენ – მათ მხოლოდ თავად შეუძლიათ განვითარება.“

- როგორ გვესმის სიტყვა „განვითარება“? განიხილეთ ორივე – დადებითი და უარყოფითი შედეგები ასეთი განვითარებისა ჩვენს საზოგადოებაში.

- რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას თუ „გარეშეები“ შემოტანენ „განვითარებას“ ჩვენთან?

# შეუძლია ჩვენს ხალხს ცვლილებების მოტანა ?

- ცვლილებები დალოდებას, რომ მათ გარეშეები მოიტანენ ჩვენს საზოგადეობაში შეიძლება დიდი ხანი დასჭირდეს სინამდვილეში. ამან შეიძლება ისეთი ცვლილებები არც მოიტანოს, რომელთაც ხალხი ელოდება. მაგალითად, ადგილობრივი ხალხი შეიძლება უყურებს ჯანმრთელობის კლინიკას და ექიმების მომზადებას როგორც თავის პრიორიტეტს. თუმცა, მათ შეიძლება გაუჭირდეთ უარის თქმა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, რომელსაც სურვილი ექნება გამოსცადოს მალარიის ახალი ვაქცინა ამ მხარეში და მოამზადონ ხალხი ინფორმაციის მოსაგროვებლად.
- თუმცა, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ პატარა მიძღვნილმა ჯგუფმა საზოგადოებაში მოიტანოს ნამდვილი ცვლილებები მათ საკეთილდღეოდ. ამას ეწოდება ,,მობილიზება‘‘. ეს შეიძლება იყოს ეკლესიის ჯგუფი, ფერმერების კოოპერატივი ან ახალგაზრდული ჯგუფი. ეს სახელმძღვანელო მოგაწოდებთ იდეებს, რომლებიც დაგეხმარებათ თქვენი საზოგადოების მობილიზებაში გასაუმჯობესებლად.



# დისკუსია A2

- როგორ შეუძლიათ ჩვენი ჯგუფის წევრებს მხარი დაუჭირონ საზოგადოების მობილიზების მცდელობებს?
- იმსჯელეთ განცხადებაზე: „სიღარიბე უფრო აზროვნების დამოკიდებულებაა, ვიდრე ჯიბის შესაძლებლობების გამომხატველი.“
- ჩვენი ჯგუფის წევრების გარდა, არიან სხვა ადამიანები ჩვენს მხარეში, რომლებიც მიძღვნილნი არიან მდგომარეობის გასაუმჯობესებლად?
- გინახავთ რაიმე ცვლილებები საზოგადეობაში, რომლებიც მოყვა ადგილობრივი ხალხის ქმედებებს? იმსჯელეთ, თუ არის შესაძლებლობა, რომ ამგვარი ცვლილება გაიზარდოს მეტის ხალხის მონაწილებით.

# ლიდერებთან მუშაობა

- ადგილობრივი ლიდერების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია მობილიზაციის პროცესში. სახელმძღვანელოს დარჩენილი ნაწილი თქვენ ჯგუფს პროცესში წარუძღვება, რომლეიც კარგად იქნა გამოცდილი ყველგან. თქვენ მოგიწევთ ნაბიჯ-ნაბიჯ მოძრაობა თქვენი საზოგადოების საჭიროებების და პრიორიტეტების გასაგებად. ეს დაგეხმარებათ თქვენ დაგეგმოთ ერთად და იმუშაოთ დიდებითი ცვლილებების მოსატანად. იმუშავეთ ერთად ყოველ გვერდზე პატარა ჯგუფეში და შემდეგ გამოიყენეთ ინფორმაცია სხვებთან საზოგადოებაში.

- დასაწყისში დაგჭირდებათ ადგილობრივი ლიდერების თანხმობა. ააშენეთ ურთიერთობები მათთან. დარწმუნებული იყავით, რომ იცით ყველა მნიშვნელოვანი ადამიანის შესახებ – არა მარტო პოლიტიკურ ხელმძღვანელებს, არამედ ტრადიციულ ლიდერებსაც, საზოგადოების ჯგუფების ლიდერებს და ყველა აღმსარებლობის ლიდერებს. როდესაც მზად იქნებით, შეხვდით რათა იმსჯელოთ თქვენს მოსაზრებებზე.



# დისკუსია A3

- ჩამოწერეთ ყველა ადგილობრივი ლიდერის სახელი, რომლებზეც წევრები ფიქრობენ, რომ მათ მხარი უნდა დაუჭირონ მობილიზაციის პროცესს.

- როდესაც მოაწყობთ შეხვედრებს ადგილობრივ ლიდერებთან, შესაძლოა დაგეხმაროთ, რომ დაპატიჟოთ ვინმე, ვინც საკმაოდ პატივდებულია ადგილობრივ საზოგადოებაში რათა გააცნოთ იგი და საშუალება მისცეთ წარუძღვეს დისკუსია (იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ ისინი არ ისაუბრებენ). მაგალითად, არის გარშემო საზოგადოებაში წარმატებული ბიზნესის მქონე პიროვნება? შეგიძლიათ მოიწვიოთ, მაგალითად, უახლოესი საშუალო სკოლის დირექტორი?

- რატომ არის მნიშვნელოვანი ყველა ადგილობრივი ლიდერის დაპატიჟება, თუნდაც ისინი არ აირჩევენ შეხვედრაზე დასწრებას? როგორ უნდა დარწმუნდეთ, რომ ვინმე მნიშვნელოვანი არ გამოგრჩეთ?

- ზოგიერთი ლიდერი შეიძლება საკმაოდ ხელის შემშლელი აღმოჩნდეს საზოგადოების მობილიზაციის მხარდაჭერაში. რა საუკეთესო ხერხი არსებობს მათთან დასალაპარაკებლად? მათი თანხმობა ცვლილებების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია?

- თუ ლიდერები არ შემოგვთავაზებენ თავიანთ მხარდაჭერას, არის შესაძლებელი, რომ ცვლილებები მოვიდეს როდესაც მოტივირებული ხალხი გაუწევს საქეს ხელმძღვანელობას? რა შესაძლებელი რისკები და სასურველი სარგებელი არსებობს?

# ცეცხლის მოკიდება

- Call together as many local people as possible for a meeting. Make sure you include people who are often not represented, such as women, people with disabilities, older people, youth and those of low caste. Choose a meeting place and a time that is convenient for most people. After welcoming people and giving introductions and explanations, the leader should ask: ‘Can we have a cooking fire burning here in two minutes time?’
- At first there will be confusion and people will wonder if the leader is serious. Then a number of them will run off to collect firewood, matches and cooking stones. A fire is quickly lit and burns well for a few minutes. It is then likely to die down unless a few people bring more wood.
- Using this practical example, begin a time of open discussion to discover what we can learn from it.

